2008 წლის 7 ივნისი

საქართველოს პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი №2

სხდომას თავმჯდომარეობდა დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე პ. კუბლაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ დროებითი სამანდატო კომისიის წევრები: კ. ანჯაფარიძე, ვ. ბალავაძე, ა. ბობოხიძე, ბ. ბუცხრიკიძე, ხ. გოგორიშვილი, ლ.თორდია, რ. თედორაძე კ. კუკულავა, ა. კოპალიანი, პ. ლეჟავა, ლ. მინდელი, გ. მელაძე, თ. წურწუმია, ო. ხინიკაძე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლ. თარხნიშვილი.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა პარლამენტის წევრთა განცხადებები და დოკუმენტაციები საპარლამენტო ფრაქციის – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შექმნისა და რეგისტრაციის შესახებ (ფრაქციის სახელწოდება, თავმჯდომარის და წევრთა ვინაობა, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება).

დროებითმა სამანდატო კომისიამ განიხილა ფრაქციის რეგისტრაციის საკითხი და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

რეგისტრირებულ იქნეს საპარლამენტო ფრაქცია – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (თავმჯდომარე პეტრე ცისკარიშვილი)

პარლამენტის დროებითმა სამანდატო კომისიამ განიხილა კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, მოამზადა საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრისა და პარლამენტის კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ დადგენილების პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დასამტკიცებლად.

1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 30-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად შეიმქნას კომიტეტები და განისაზღვოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობა:
   ა) აგრარულ საკითხთა – 19 წევრი;
   ბ) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის – 15 წევრი;
   გ) საფინანსო-საბიუჯეტო – 17 წევრი;
   დ) განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის – 19 წევრი;
   ე) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების – 15 წევრი;
   ვ) დარგობრივი ეკონომიკისა და ეიკონომიკური პოლიტიკის – 19 წევრი;
   ზ) ევროპასთან ინტეგრაციის – 15 წევრი;
   თ) თავდაცვისა და უშიშროების – 19 წევრი;
   რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების – 19 წევრი;
   კ) იურიდიულ საკითხთა – 17 წევრი;
   ლ) საგარეო ურთიერთობათა – 17 წევრი;
   მ) საპროცედურო საკითხთა და წესების – 15 წევრი;
   ნ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა – 17 წევრი.

2. საქართველოს პარლამენტის 125-ე მულის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს პარლამენტის კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

№	კომიტეტის დასახელება	წევრთა რაოდენობა	ერთიანი ნაციონარული მოძრაობა	დამოუკიდებელი წევრები
1	აგრარულ საკითხთა	19	15	4
2	ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის	15	11	4
3	საფინანსო საბიუჯეტო	17	13	4
4	განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის	19	15	4
5	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების	15	11	4
6	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის	19	15	4
7	ევროპასთან ინტეგრაციის	15	11	4
8	თავდაცვისა და უშიშროების	19	15	4
9	რეგიონალური პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების	19	15	4
10	იურიდიულ საკითხთა	17	13	4
11	საგარეო ურთიერთობათა	17	13	4
12	საპროცედურო საკითხთა და წესების	15	11	4
13	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	17	13	4

დადგენილების ამოქმედების ვადა განისაზღვრა მისი მიღებისთანავე.

დროებითი სამანდატო
კომისიის თავმჯდომარე პ. კუბლაშვილი

მდივანი ლ. თორდია